**უმაღლესი საგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო**

20/09/2024

MES 7 24 0001174814

გადაწყვეტილება

სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხ ლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, მე-5 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიას (ს/კ 203850813) მიენიჭოს 6 წლის ვადით, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით, მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 800-ით.
2. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიას მიენიჭოს უფლებამოსილება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი).
3. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2024 წლის 06 სექტემბერს.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 20 სექტემბრის №1174827 სხდომის ოქმი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის შესახებ, ცნობილი იქნას გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილებად.

5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან ქ. თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლეშკაშელი დავითი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
შენგელია კახა

ელექტრონული
მზამავლსმეღლა
ელექტრონული

დანართი: დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამა	საფეხური	სწავლების ენა	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მისანიჭებელი კვალიფიკაცია	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული, აკრედიტებული, პირობით აკრედიტებული, საერთაშორისო აკრედიტაცია)	ECTS	შესაბამისი გადაწყვეტილების ნომერი და თარიღი
1	მუსიკის ტექნოლოგია	ბაკალავრიატი	ქართული	0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი მუსიკის ტექნოლოგიაში	აკრედიტებული	240	13004, 20/12/2023
2	ჯაზის ხელოვნება	ბაკალავრიატი	ქართული	0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი საშემსრულებლო ხელოვნებაში (ჯაზ-ორკესტრის საკრავები/ჯაზ-ვოკალი)	აკრედიტებული	240	43889, 28/12/2023
3	კომპოზიცია	ბაკალავრიატი	ქართული	0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი კომპოზიციაში	აკრედიტებული	240	12996, 20/12/2023
4	მუსიკოლოგია	ბაკალავრიატი	ქართული	0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი მუსიკოლოგიაში	აკრედიტებული	240	12983, 20/12/2023

5	საშემსრულებლო ხელოვნება	ბაკალავრიატი	ქართული	0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი საშემსრულებლო ხელოვნებაში (კლავიშიანი საკრავები, სიმებიანი საკრავები/ჩასაბერი საკრავები/დასარტყამი საკრავები/ვოკალი/საგუნდო დირიჟორობა)	აკრედიტებული	240	46656, 28/12/2023
6	მუსიკის ტექნოლოგია	მაგისტრატურა	ქართული	0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება	ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი მუსიკის ტექნოლოგიაში	აკრედიტებული	120	13009, 20/12/2023
7	საშემსრულებლო ხელოვნება	მაგისტრატურა	ქართული	0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება	ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი საშემსრულებლო ხელოვნებაში (კლავიშიანი საკრავები, სიმებიანი საკრავები/ჩასაბერი საკრავები/დასარტყამი საკრავები/ვოკალი/საგუნდო დირიჟორობა)	აკრედიტებული	120	43885, 28/12/2023
8	კომპოზიცია	მაგისტრატურა	ქართული	0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება	ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი კომპოზიციაში	აკრედიტებული	120	12997, 20/12/2023
9	მუსიკოლოგია	მაგისტრატურა	ქართული	0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება	• ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი მუსიკოლოგიაში • ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ეთნომუსიკოლოგიაში • ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი საეკლესიო მუსიკაში	აკრედიტებული	120	12988, 20/12/2023

10	მუსიკოლოგიური კვლევები	დოქტორანტურა	ქართული	0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება	მუსიკოლოგიის დოქტორი	აკრედიტებული	35	12991, 20/12/2023
11	საშემსრულებლო ხელოვნება	დოქტორანტურა	ქართული	0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება	სამუსიკო ხელოვნების დოქტორი	აკრედიტებული	35	43887 28/12/2023
12	კომპოზიცია	დოქტორანტურა	ქართული	0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება	კომპოზიციის დოქტორი	აკრედიტებული	35	13002, 20/12/2023
13	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	-	ქართული	-	-	აკრედიტებული	60	446516, 05/06/2020
14	მუსიკის დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	-	ქართული	-	-	აკრედიტებული	60	909767, 15/09/2020